

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 61

ქ. ვანი 04 ნოემბერი 2010 წელი

თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების  
პრივატიზების მიზნით აუქციონის გამოცხადებისა და გამოსაქვეყნებელი  
ინფორმაციის დამტკიცების შ ე ს ა ხ ე ბ

„ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის, „თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 4 ოქტომბრის N22 დადგენილების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „პ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

მუხლი 1. გამოცხადდეს აუქციონი თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონების პრივატიზების მიზნით:

1. ხილის მიმღები პუნქტი–მდებარე ამაღლების თემში, სარეგისტრაციო კოდი 311303526. მიწის ნაკვეთი–3254 კვ.მ. შენობის ფართი–371.1 კვ.მ.
2. ხილის მიმღები პუნქტი–მდებარე დიხაშხოს თემში, სარეგისტრაციო კოდი 310707017. მიწის ნაკვეთი–1220 კვ.მ. შენობის ფართი–327 კვ.მ.
3. ხილის მიმღები პუნქტი–მდებარე ტობანიერის თემში, სარეგისტრაციო კოდი 310403981. მიწის ნაკვეთი–1925კვ.მ. შენობის ფართი–359,6 კვ.მ.
4. ხილის მიმღები პუნქტი–მდებარე სულორის თემში, სარეგისტრაციო კოდი 311803320. მიწის ნაკვეთი–1141 კვ.მ. შენობის ფართი–409,1კვ.მ.
5. ხილის მიმღები პუნქტი–მდებარე შუამთის თემში, სარეგისტრაციო კოდი 310310025. მიწის ნაკვეთი–3015კვ.მ. შენობის ფართი–324,5 კვ.მ.
6. ხილის მიმღები პუნქტი–მდებარე ძულუხის თემში, სარეგისტრაციო კოდი 311902408. მიწის ნაკვეთი–57კვ.მ. შენობის ფართი–54,7 კვ.მ.
7. კლუბის შენობა–მდებარე შუამთის თემის სოფელ ჭყვიშში. სარეგისტრაციო კოდი 310302211. მიწის ნაკვეთი–413.7კვ.მ. შენობის ფართი–170.2კვ.მ.
8. კლუბის შენობა–მდებარე ტობანიერის თემში. სარეგისტრაციო კოდი 310402271. მიწის ნაკვეთი–1428კვ.მ. შენობის ფართი–297,7კვ.მ.
9. კლუბის შენობა–მდებარე ზეინდრის თემში. სარეგისტრაციო კოდი 311704056. მიწის ნაკვეთი–3285კვ.მ. შენობის ფართი–887კვ.მ.
10. ბიბლიოთეკის შენობა–მდებარე უხუთის თემში. სარეგისტრაციო კოდი 311203316. მიწის ნაკვეთი–122კვ.მ. შენობის ფართი–57.3კვ.მ.

11. ბიბლიოთეკის შენობა–მდებარე ქ. ვანი ბაგრატის ქ.№20. სარეგისტრაციო კოდი 310105024 მიწის ნაკვეთი–143კვ.მ. შენობის ფართი–54კვ.მ.
12. სქემური კაბელების საამქრო–მდებარე სულორის თემში. სარეგისტრაციო კოდი 311803318 მიწის ნაკვეთი–2256კვ.მ. შენობის ფართი–545კვ.მ.
13. არასაცხოვრებელი ფართი– მდებარე ვანის მუნიციპალიტეტის ტობანიერის თემში. სარეგისტრაციო კოდი 310402273 მიწის ნაკვეთი–1077კვ.მ. შენობის ფართი–196კვ.მ.
14. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 640.74 კვ.მ.–მდებარე ტობანიერის თემში. სარეგისტრაციო კოდი 310423001.
15. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 56 კვ.მ.–მდებარე სალომინაოს თემში. სარეგისტრაციო კოდი 311022007.
16. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 93 კვ.მ.–მდებარე შუამთის თემში. სარეგისტრაციო კოდი 310330012.
17. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 32.15 კვ.მ.–მდებარე შუამთის თემში. სარეგისტრაციო კოდი 310328004.
18. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 46.43 კვ.მ.–მდებარე ტობანიერის თემში. სარეგისტრაციო კოდი 310423002.
19. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 276 კვ.მ.–მდებარე მთისძირის თემში. სარეგისტრაციო კოდი 310303762.
20. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 4655კვ.მ.–მდებარე სალხინოს თემში. სარეგისტრაციო კოდი 310602742.
21. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 165 კვ.მ.–მდებარე ზედავანის თემში. სარეგისტრაციო კოდი 310201471.
22. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 22 კვ.მ.–მდებარე ქ. ვანი, თამარ მეფის ქუჩა.. სარეგისტრაციო კოდი 310130024.
23. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 33,94 კვ.მ.–მდებარე ქ. ვანი, თამარ მეფის ქუჩა.. სარეგისტრაციო კოდი 310130022.
24. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 105კვ.მ.–მდებარე ქ. ვანი, გ. ტაბიძის ქუჩა.. სარეგისტრაციო კოდი 310105022.

მუხლი 2. დამტკიცდეს გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია თვითმმართველი ერთეულის–ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

/დანართი ბრძანებას თან ახლავს/

მუხლი 3. თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედმა სააუქციონო კომისიამ ორგანიზება გაუკეთოს თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებას აუქციონის ფორმით.

მუხლი 4. აუქციონის წესით პრივატიზებისთვის სადეპონენტო თანხის /„ბე“/ აკუმულაცია განხორციელდეს ვანის მუნიციპალიტეტის სპეცანგარიშზე ს.ს. „ლიბერთი ბანკი“-ს ვანის ფილიალი, ანგარიშის №33060002

მუხლი 5. ბრძანება განთავსდეს თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /[www.vani.org.ge/](http://www.vani.org.ge/).

მუხლი 6. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „24 საათი“.

მუხლი 7. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ზურაბ გეგიძემ.

მუხლი 8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში, ვანის რაიონული სასამართლოში.

საკრებულოს თავმჯდომარე      დ. კაკაბაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის  
 2010 წლის 04 ნოემბრის №61  
 ბრძანების დანართი

ინფორმაცია თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შეესაბამება

გამოცხადდეს აუქციონი თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგი ქონებების პრივატიზების მიზნით:

ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრების შენობა-ნგებობები

№	ობიექტის დასახელება	მისამართი	სარეგისტრაციო კოდი	მიწის ნაკვეთის სიდიდე კვ.მ.	შენობის საერთო ფართობი კვ.მ.	საწყისი ღირებულება აშშ დოლარი	სადეპოზიტო თანხის, „ბე“-ს სიდიდე აშშ დოლარი	„ბიჯი“ აშშ დოლარი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	ხილის მიმღები პუნქტი	ამალღების თემი	31 13 03 526	3254	371.1	6000	1800	300	
2	არასაცხოვრებელი ფართი	ტობანიერის თემი	31 04 02 273	1077	196	3435	1031	172	
3	ხილის მიმღები პუნქტი	ღიხაშხოს თემი	31 07 07 017	1220	327	5015	1505	251	
4	ხილის მიმღები პუნქტი	ტობანიერის თემი	31 04 03 981	1925	359,6	3500	1050	175	
5	ხილის მიმღები პუნქტი	სულორის თემი	31 18 03 320	1141	409,1	3500	1050	175	
6	ხილის მიმღები პუნქტი	შუამთის თემი	31 03 10 025	3015	324,5	15000	4500	750	
7	ხილის მიმღები პუნქტი	ძულუხის თემი	31 19 02 408	57	54,7	155	50	10	
8	სქმური კაბელების საამქრო	სულორის თემი	31 18 03 318	2256	545	5750	1725	290	
9	კლუბის შენობა	შუამთის თემი, სოფ. ჭყვიში	31 03 02 211	413,7	170,2	1500	450	75	
10	კლუბის შენობა	ტობანიერის თემი	31 04 02 271	1428	297,7	3500	1500	175	
11	ბიბლიოთეკის შენობა	უხუთის თემი	31 12 03 316	122	57,3	320	100	16	
12	ბიბლიოთეკის შენობა	ქ. ვანი ბაგრატიის ქ. №20	31 01 05 024	143	54	1000	300	50	
13	კლუბის შენობა	ზეინდრის თემი	31 17 04 056	3285	887	28810	8645	1441	

ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრების არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები

№	ობიექტის დასახელება	მისამართი	სარეგისტრაციო კოდი	მიწის ნაკვეთის სიდიდე კვ.მ.	საწყისი	სედებოზიტო თანხის, „ბე“-ს სიდიდე აშშ დოლარი	„ბიჯი“	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	ტობანიერის თემი	31 04 23 001	640.74	1081	325	55	
2	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	სალომინაოს თემი	31 10 22 007	56	222	67	12	
3	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	ქ. ვანი თამარ მეფის ქუჩა	31 01 30 024	22	444	134	23	
4	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	შუამთის თემი	31 03 30 012	93	444	134	23	
5	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	შუამთის თემი	31 03 28 004	32,15	167	51	10	
6	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	ქ. ვანი თამარ მეფის ქუჩა	31 01 30 022	33,94	555	167	30	
7	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	ტობანიერის თემი	31 04 23 002	46,43	140	42	7	
8	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	მთისძირის თემი	31 03 03 762	276	471	142	25	
9	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	სალხინოს თემი	31 06 02 742	4655	12910	3875	645	

## აუქციონში მონაწილეობის წესი და პირობები

1. თვითმმართველი ერთეულის– ვანის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზნით გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს.

2. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, თვითმმართველი ერთეულის - ვანის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, თვითმმართველი ერთეულის - ვანის მუნიციპალიტეტის იმ ქონების საწყისი ფასის ოდენობას, რომლის პრივატიზებაც სურს მონაწილეს.

ბ) „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს; „ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპეცანგარიშზე №33060002. ს.ს. „ლიბერთი ბანკი“ ვანის ფილიალში.

გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდა უნდა მოხდეს ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპეცანგარიშზე №33060002. ს.ს. „ლიბერთი ბანკი“ ვანის ფილიალში. ბილეთის ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რეგისტრატორი მონაწილეზე აკეთებს შესაბამის ჩანაწერს „აუქციონის მონაწილეთა რეგისტრაციის ჟურნალში“, იტოვებს წარმოდგენილ დოკუმენტაციას და მონაწილეს გადასცემს აუქციონში მონაწილის ბილეთს. მონაწილის ბილეთით მონაწილე ღებულობს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

4. მონაწილეს უფლება აქვს „ბე“-ს დაუკავებლად აუქციონში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში.

5. მონაწილეს შეიძლება უარი ეთქვას აუქციონში მონაწილეობაზე, თუ დარღვეულია ამ პირობების პირველი, მეორე და მესამე პუნქტების მოთხოვნები.

6. აუქციონში მონაწილე ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს საპრივატიზებო ქონებას.

7. აუქციონში მონაწილე აუქციონის დაწყებამდე შედის დარბაზში, სადაც ტარდება აუქციონი, აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთს და იღებს სპეციალურ დაფას, რომლის ნომერიც შეესაბამება მის ბილეთზე აღნიშნულ ნომერს.
8. აუქციონატორი ადარებს გაცემული ნომრიანი დაფების რაოდენობას შემოსული განაცხადების რაოდენობასთან, რითაც აზუსტებს აუქციონში მონაწილეთა რაოდენობას.
9. აუქციონს ატარებს აუქციონატორი.
10. თითოეულ ობიექტზე ვაჭრობის დაწყებისას აუქციონატორი აცხადებს თვითმმართველი ერთეულის– ვანის მუნიციპალიტეტის ქონების დასახელებას, მის საწყის ფასს და ბიჯის ოდენობას.
11. აუქციონზე ვაჭრობის დასაწყისად ითვლება საწყისი საპრივატიზებო ფასის გამოცხადების მომენტი. ვაჭრობის მიმდინარეობის დროს დაუშვებელია მონაწილეთა დარბაზში გადაადგილება.
12. . აუქციონში მონაწილე, რომელსაც სურს საწყისი ფასიდან დაიწყოს ვაჭრობა, სწევს თავის დაფას (რაც ნიშნავს საწყის საიჯარო ქირაზე ბიჯის დამატებას). აუქციონატორი აფიქსირებს მას და სთხოვს აუქციონში მონაწილეებს გააგრძელონ ვაჭრობა, სანამ რომელიმე არ დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს. ფასის სამჯერ გამოცხადებისა და აუქციონატორის მიერ ჩაქუჩის დარტყმის შემდეგ, აუქციონში გამარჯვებულად ითვლება ის მონაწილე, ვინც აუქციონატორს ყველაზე მაღალი ფასი შესთავაზა.
13. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს სააუქციონო ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები. ოქმი ინომრება ქრონოლოგიურად. ოქმს ხელს აწერს აუქციონში გამარჯვებული, სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე, სააუქციონო კომისიის მდივანი და აუქციონატორი.
14. აუქციონი არშემდგარად გამოცხადდება, თუ:
- ა) აუქციონში მონაწილეობის სურვილი არ გამოთქვა არავინ;
  - ბ) აუქციონში მონაწილეობის მისაღებად არ გამოცხადდა არცერთი მსურველი;
  - გ) აუქციონის მონაწილე/მონაწილეები ესწრებოდნენ აუქციონს, მაგრამ არცერთმა არ მიიღო მონაწილეობა სააუქციონო ვაჭრობაში.
15. მე-14 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში დგება არშემდგარი აუქციონის შესახებ მოხსენებითი ბარათი, აუქციონის მონაწილესა და მონაწილეობის მსურველის მიერ შეტანილი „ბე“ სრულად ირიცხება ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.
16. თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია აუქციონის ჩატარებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში ამზადებს მოხსენებით ბარათს, რომლის საფუძველზეც აუქციონში მონაწილე პირებს, რომლებმაც ვერ გაიმარჯვეს, უბრუნდებათ მათ მიერ

გადახდილი „ბე“-ს ოდენობა, ხოლო, აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ გადახდილი „ბე“ სრულად ირიცხება ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

17. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდება.

18. აუქციონის შედეგების ოქმი და სრული დოკუმენტაცია აუქციონის დასრულებისთანავე გადაეცემა ვანის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც მას ამტკიცებს აუქციონის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

19. გარიგებათა გაფორმების წესი და აუქციონში გამარჯვებულის პასუხისმგებლობა განისაზღვრება „თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ წესის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ერთეულის – ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 4 ოქტომბრის N22 დადგენილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

20, აუქციონი ტარდება 2010 წლის 25 ნოემბერს, 13 საათზე. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2010 წლის 25 ნოემბრის 12 საათამდე. მისამართი: ქალაქი ვანის თავისუფლების ქ.№65,

საკონტაქტო პირი: კომისიის თავმჯდომარე ტელ: 895. 908070;

კომისიის წევრი: 892 244714

საკრებულოს თავმჯდომარე      დავით კაკაბაძე